ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ ____ოქტომბერი_____ 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი დეველოპმენტს“
(საიდენტიფიკაციო კოდის 412724155) შორის 2017 წლის 27 იანვარს
გაფორმებული N4 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული
საინვესტიციო პირობის შეცვლასთან დაკავშირებით
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის ,,დ.ა“ და „დ.ვ.“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი დეველოპმენტს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №412724155) შორის 2017 წლის 27 იანვარს გაფორმებული №4 ნასყიდობის ხელშეკრულების გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის 2025 წლის 31 მაისამდე გაგრძელების თაობაზე.

მუხლი 2. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს იოსებ ხახალეიშვილს უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი დეველოპმენტს“ (ს.ნ 412724155) შორის 2017 წლის 27 იანვარს გაფორმებული N4 ნასყიდობის ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი